




საქ. სსრ მინისტრთა საბაგოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რაიკავშირთა საბაგოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

1970 წ.
№ 56 21
(4050) მარტი.
შაბათი.
ფასი 3 კპ.

გაზეთი გამოდის
1984 წლის
18 აპრილიდან

წიგნები

ასკოტიანი

კვლავ მწიგნობარი

რიგში დამთავრდა „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს პირველი-ბა ფარეკობაში. სასიხარულოა, რომ შეგირებში გამოდიოდა ჩვენი გუნდის ვეტერანები, სპორტის დამსახურებული ოსტატი ნ. ასათიანი. ეს ესპანელი ოსტატი უკვე ორ წელზე მეტია, რაც სპორტულად არ გამოჩენილა და ჩვეულ ფორმაში ვერ არის. მიუხედავად ამისა, ნუგ-ზარმა II საპროფადგოლი დაისაკუთრა (I ადგილზე ი. როლსკი). მან დაამტკიცა, რომ კვლავ მზადაა დიდი მასშტაბის შეგირებში მონაწილეობისთვის.

ასევე გაგვახარა ახალგაზრდა სპორტის ოსტატი გ. ზურაბიშვილი. მან დაწინაურდა ფარეკობაში III ადგილი დაიკავა მსოფლიოს ორგანიზაციის ჩემპიონ ა. ნიკანორიშვილი და სსრ კავშირის ნაკრები გუნდის წევრის ი. ვიტეხის შემდეგ. აღსანიშნავია ისიც, რომ ზურაბიშვილმა ჩამოიტოვა მსოფლიოს შარშანდელი ჩემპიონი გ. ზაჟიკი და სსრ კავშირის ერთ-ერთი უძლიერესი მოფარეკი ი. ლივაკი.

გაგონი ცნობილი პირი

რამი, 20 მარტი. ფეხბურთელთა ევროპულ ჩემპიონატში სსრ კავშირის ნაკრების მეთქვენი იქნებან ჩრდილოეთ ირლანდიის, ესპანეთისა და კვიპროსის გუნდები (IV ქვეჯგუფი). ეს გაარკვეა იტალიის დედაქალაქში დღეს გამართულმა კენჭისყრამ. 32 ქვეყნის გუნდები 8 ქვეჯგუფად დაიყვნენ: I. რუმინეთი, ჩეხოსლოვაკია, უელსი, ფინეთი; II. ბელგარეთი, უნგრეთი, საფრანგეთი, ნორვეგია; III. ინგლისი, საბერძნეთი, შვეიცარია, მალტა; V. ბელგია, შოტლანდია, პორტუგალია, დანია; VI. იტალია, შვეიცარია, ავსტრია, ირლანდია; VII. იუგოსლავია, გერმანია, ლუქსემბურგი; VIII. გერმანია, პოლონეთი, თურქეთი, ალბანეთი. გუნდები ერთმანეთს შეხვდებიან ორჯერ — შინ და გარეთ. მეოთხედფინალის საგზურებს მიიღებენ ქვეჯგუფებში გამარჯვებული გუნდები. მეოთხედფინალური შეხვედრები გაიმართება 1972 წლის თებერვალ-პირილში, ხოლო ნახევარფინალური და ფინალური თამაშები — იმავე წლის მაის-ივნისში.


ფეხბურთი

9,5 ქულა (14-დან). მეორე ადგილი დაიკავა ისლანდიელმა ფ. ოლფსონმა — 8,5, მესამე — ვ. უნიკერმა (გერ) — 7,5.

◆ პარსაზა, 20 მარტი. ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მეოთხედფინალური მატჩი ითამაშეს ადგილობრივი „ლევისი“ და ბუდაპეშტის „ჩეპელის“ ფრენბურთელ ვაჟთა გუნდებმა. გამარჯვებულმა ჩემპიონებმა — 8:1.

სოკოლოში, 19 მარტი. პოკეისტა 37-ე მსოფლიოს ჩემპიონატში გუნდში გაიმართა სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის გუნდების მატჩი. პირველი პერიოდის მე-6 წუთზე ა. მალცევმა გაიტანა პირველი გოლი, მეორე პერიოდში კი ჩეხოსლოვაკიელმა კონტამ ანგარიში გაათავსა. მესამე პერიოდში საბჭოთა სპორტსმენებმა მართლაც ჩემპიონად ითამაშეს და ჯერ ვ. ვიკულევმა, ხოლო შემდეგ ვ. ნიკიტინმა ორი გოლი გაიტანეს. ამრიგად, ანგარიში 3:1 გაიმარჯვა საბჭოთა ნაკრებმა.

დღეს გაიმართა კიდევ ორი მატჩი. ფინელებმა მინიმალური ანგარი-



შთი სძლიეს გერ-ის ნაკრებს — 1:0, ხოლო შვედებმა დიდი ანგარიშით დაამარცხეს პოლონელები — 11:0.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 20 მარტისთვის

სსრ კავშირი	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
შვეიცარია	4	4	0	0	24	8
ფინეთი	4	8	0	1	23	6
ჩეხოსლოვაკია	4	8	0	1	14	6
გერ	4	2	0	2	15	12
პოლონეთი	4	0	0	4	8	23
	4	0	0	4	4	33


„დამსახურებული შედეგი“

პარა, 19 მარტი. დედაქალაქის გაზეთებმა დიდი ადგილი დაუთმეს სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის გუნდების შეხვედრას პოკეისტა მსოფლიო ჩემპიონატში. „რუდე პრავე“ აღნიშნავს, რომ ამ მატჩს მსოფლიოს ყველა კუთხეში უდიდესი ინტერესით ელოდნენ. სპორტულ მიმოხილვებში მიაჩნიათ, რომ საბჭოთა პოკეისტების გამარჯვება დამსახურებულია. მათ გაუძღეს მეტოქის მძლავრ იერიშებს, ხოლო პერიოდში ტემპს უმატეს და წარმატება მოიპოვეს. „დამსახურებული შედეგი“ — ასე ასათურებს ამ მატჩისადმი მიძღვნილ ვრცელ სერიატს გაზეთი „სეზონდნოე სლოვო“. მეორე გაზეთი ხოტბას ასხამს საბჭოთა მეკარე კონვალენკოს თამაშს. როგორც „რუდე პრავე“ წერს, იგი მოელა გუნდის ნამდვილი ბურჯია. ამავე დროს პრესა აღნიშნავს, რომ ორივე გუნდის მოთამაშეები ნერვიულობდნენ და შეცდომებსაც უშვებდნენ. ჩეხოსლოვაკიის გუნდში შეცდომა მეტი იყო. (საქვების).

ცნობა გაგონი

მ მარტისადმი მიძღვნილი ტრადიციული საერთაშორისო ტურნირის VIII ტურში საბჭოთა მოჭადრაკეების ნ. გაფრინდელისა და ა. კუშნირის შეხვედრები იუგოსლავიელებთან პ. კონარკოვსკა-სოლოვოვსა და რ. იოვანოვიჩთან დამთავრებული დარჩა. ჩვენს ოსტატებს უპირატესობა აქვთ. გადამდებული პარტიების დამთავრებისას გაფრინდელის შეხვედა უნერგულ მ. ივანკას. ბრძოლა საინტერესოდ წარმოგება, მაგრამ პარტია გადაიღო მსოფლიო ჩემპიონისთვის მოსაგებ პოზიციებში.

გაგონი



◆ ბელგრადი, 20 მარტი. მოჭადრაკე ქალთა აქ მიმდინარე საერთაშორისო ტურნირში 9 ტურის შემდეგ დაწინაურდა ა. კუშნირი — 6,5 ქულა და 2 გადამდებული პარტია. ამდენივე ქულა დააგროვა მალბეტროვამაც (ჩეხოსლოვაკია), მაგრამ მან ყველა პარტია ითამაშა. 5 ქულა და 3 გადამდებული პარტია აქვს ნ. გაფრინდელს.

◆ ლუბანო, 20 მარტი. დანიელი დიდოსტატი ბ. ლარსენი გამარჯვებული გამოვიდა შვეიცარიის ამ ქალაქში გამართულ საერთაშორისო ტურნირში. მან დააგროვა

საპროფადგო პირველობა ხალხურთი

მსოფლიო მატჩის მიწურულს...

ქვეჯგუფებში უკანასკნელი მატჩების შედეგებმა საბოლოოდ გაარკვეა ფინალისტების ვინაობა: ვაჟთა ფინალურ ოთხეულში გავიდნენ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის, რუსთავეის, თბილისის განათლების განყოფილებისა და საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის კოლექტივები. V-VIII ადგილებისთვის მებრძოლთა ჯგუფში მოხვდნენ აჭარის, ფოთის, ქუთაისისა და აფხაზეთის გუნდები. უკანასკნელი შეხვედრები ქვეჯგუფებში ასე დამთავრდა: სპი — რუსთავი 27:23 (13:7), აჭარა — ფოთი 25:20 (12:8), განათლების განყოფილება — ქუთაისი 25:22 (14:12), სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი — აფხაზეთი 25:19 (12:10).

ქალთა გუნდების ფინალურ ოთხეულში შევიდნენ თბილისის პედინსტიტუტის, თბილისის განათლების განყოფილების, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და სამხრეთ ოსეთის ხელოვნების განყოფილების V-VIII ადგილებისთვის მებრძოლები. აფხაზეთის, რუსთავის, აჭარისა და ქუთაისის კოლექტივები. ქვეჯგუფებში ბოლო მატჩები

ასე დამთავრდა: განათლების განყოფილება — აფხაზეთი 26:7 (12:3), პედინსტიტუტი — რუსთავი 13:6 (6:3), სპი — ქუთაისი 15:11 (11:4), სამხრეთ ოსეთი — აჭარა 16:13 (9:8). ვაჟთა გუნდების ფინალურ ოთხეულში გამართული პირველი შეხვედრებიდან განსაკუთრებით საინტერესო გამოდგა პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და თბილისის განათლების განყოფილების გუნდების მატჩი. მოსწავლეებმა ტოლი არ დაუდეს სტუდენტებს და თითქმის მთელი თამაშის მანძილზე ინარჩუნებდნენ უპირატესობას. მაგრამ სტუდენტმა მწვერულის, სელმურის ვეტერან თ. ანთაძის გამოცდილებამ თავისი გაიტანა და სტუდენტებს ძველი გამარჯვება მოაპოვეს — 20:19 (7:9). ვეტერანი ბრძოლაში მეორე ტაიმში ჩაება და გუნდთან ერთად თავი არ დასოვა მდგომარეობის გათანაბრებისთვის. ეს მხოლოდ მატჩის მიწურულს მოხერხდა, შემდეგ კი სტუდენტები ერთი ბურთითაც დაწინაურდნენ (ბოლო 2 ბურთი სწორედ ანთაძემ გაიტანა). რუსთავისა და სასოფლო-სამეურნეო


ინსტიტუტის გუნდების შეხვედრაში იმარჯვეს სტუდენტებმა — 29:23 (14:10). აჭარის ნაკრებმა დაამარცხა აფხაზეთის გუნდი — 26:14 (12:8), ქუთაისელებმა მოუგეს ფოთლებს — 31:22 (11:12). ქალთა გუნდების ფინალურ ოთხეულშიც საკანძო შეხვედრა იქვე პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და თბილისის განათლების განყოფილების ხელბურთელთა მატჩი იყო. აქაც სტუდენტებმა იმარჯვეს და ისევ დამაბული ბრძოლის შემდეგ — 17:14 (7:6). თბილისის პედინსტიტუტის ხელბურთელმა იოლი გამარჯვება მოიპოვეს სამხრეთ ოსეთის ნაკრებთან — 25:12 (16:6). შემდგომ ბრძოლა გაიმართა ქვედა ჯგუფში. აფხაზეთის ნაკრებმა მოუგო ქუთაისის გუნდს — 11:9 (4:4), რუსთაველებმა დაამარცხეს აჭარის ნაკრები — 17:13 (11:6). გუნდის ფინალურ ჯგუფებში გაიმართა II ტურის მატჩები, დღეს კი დასკვნითი შეხვედრები ჩატარდება. გ. ირინაშვილი.

გაგონი „600-ანთა კლუბი“

მინსკი, 18 მარტი. „მეგობრობის თასზე“ ძალოსანთა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირის ბოლოს დღეს მოუთმენლად ელოდნენ როგორც თვით ათლეტები, ისე სპორტის ამ ვაჟკაცური სახეობის მოყვარულნი. მოლოდინი, როგორც იტყვიან, გამართლდა, რადგან ამ დღეს საბჭოთა გოლიათმა ვ. ალექსეევმა (შახტი) „600-ანთა კლუბი“ გასწავა: შემოიძვრა წონის ძალოსანთა შეჯიბრებაში ზუსტად 600 კგ დააგროვა სამჭიდში. ეს პირველი შემთხვევაა მსოფლიო ძალოსანობის ისტორიაში. ალექსეევმა 213 კგ აჭიმა, რაც ახალი მსოფლიო რეკორდი გახლდათ. მაგრამ ამ რეკორდმა სულ რამდენიმე წუთს იარსება: მეორე საბჭოთა ათლეტმა, მსოფლიო ჩემპიონატის მესამე პრიზიორმა, დონეცკელმა ს. ბატიჩევმა დამატებით ცდაზე 214 კგ. აჭიმა. ალექსეევმა 170 კგ აიტაცა და 217,5 კგ ააჭრა. საინტერესოა, რომ 9 ცდიდან, რაც სამჭიდის ცალკეულ მომრატებში უნდა გამოეყენებინა, ალექსეევს მხოლოდ 5 დასჭირდა: 2 — აჭიმაში, ამდენივე — ატაცში და ერთი — აკვრამში. შეჯიბრების შემდეგ ალექსეევმა აღნიშნა, რომ, როგორც ჩანს, შეეძლო 610 კილოგრამის დაძლევა, მაგრამ მისთვის მთავარი იყო პირველს გადაეღება 600-კილოგრამიანი ზღვარი. ალექსეევს აზრით, 2-3 წლის შემდეგ სამჭიდში რეკორდი 620-630 კილოგრამამდე გაიზრდება. შესანიშნავად გამოვიდა ბატიჩევიც. სამჭიდში მან 587,5 კგ დააგროვა, რაც მესამე შედეგია ძალოსანობის ისტორიაში (ალექსეევისა და ჯაბოტინსკის მიჯნაზე). რადგან ბატიჩევი ამ შეჯიბრებაში უკონკურსოდ გამოდიოდა, II ადგილი მიეკუთვნა გერ-ის ჩემპიონს მ. რიგერს — 530 კგ. არ გაუმართლა ევროპის ჩემპიონს, ბელგიელ ს. რედინგს, რომელმაც ნული მიიღო ატაცში. ვინაიდან შემოიძვრა წონის ოთხი სპორტსმენი ასპარეზობდა, ბრინჯაოს მედლი გაუთამაშებელი დარჩა. ერთი თვის შემდეგ ვილნიუსში გაიმართება სსრ კავშირის ძალოსანთა ჩემპიონატი, სადაც საინტერესო ბრძოლა განაღდება ალექსეევს, ბატიჩევსა და ავადმყოფობის შემდეგ გამოჯანმრთელებულ ოლიმპიურ ჩემპიონ ლ. ჯაბოტინსკის შორის. ეს უკანასკნელი გასოფლებები ემზადება საკავშირო ჩემპიონატისთვის. მძიმე წონის ათლეტთა შორის ტოლი არ აქაყდა მსოფლიო ჩემპიონს, ესტონელი. ტალტს — 540 კგ. რეკორდზე იერიშს ამჯერად შედეგი არ მოჰყოლია, მაგრამ შეჯიბრებამ ცხადყო, რომ ესტონელი კარგ სპორტულ ფორმაშია. თუ ტალტს რეკორდები არ გამოუვიდა, სამაგიეროდ, მსოფლიო რეკორდსმენთა ცხრილში პირველად შეიტანა თავისი გვარი მისმა თანამემამულემ, ტარტუს საბჭოთა მეურნეობის მელორატორმა, 24 წლის ვ. უტსარმა. მან 161,5 კგ აიტაცა, რაც ნახევარი კილოგრამით სუბს ფინელი კუკო კანგასნიევის წინადადს რეკორდს. სხვათა შორის, ექს-რეკორდსმენმა ნული მიიღო თავის საყვარელ მომრატებში. II ადგილზეა ბულგარელი დ. ტრამბურაჯიევი — 480 კგ, III — ჩეხოსლოვაკიელი რ. სტრეიჩევი — 462,5 კგ.

სურათი: ვ. ალექსეევი.

ფოტო ვ. გალაკტიონოვისა.



რუსთავის „მეტალურგის“ სტადიონზე ერთმანეთს შეხვდნენ კიევი-სა და თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა დუბლშემადგენლობები. მატჩის ანგარიშია 1:1.



საქრებულო სოფლის ბაქაქა

თემატარების ბოლოს და მარტის პირველ რიცხვებში ტალინსა და ომსკში გამართა სსრ კავშირის პირადი საუწყებო ჩემპიონატი კლასიკურ კიდაო-ბაში. წარმატებით იასპარეშეს საქართველოს ათლეტებმა: რ. რურუა და თ. მაჭავარიანი. ოქროს მედლები დასაკუთრეს, ხოლო ბ. ლეკვეიშვილმა და მ. შორილაძემ — ბრინჯაოს ჯილდოები. ამას წინათ ჩვენი გაზეთის კორესპონდენტი ესაუბრა საქართველოს „კლასიკოსთა“ უფროს მწვრთნელს ლ. გვანცელაძესა და რესპუბლიკის სახელმწიფო მწვრთნელს კლასიკურ კიდაო-ბაში ზ. ძორიძეს. გვამცხედ ამ საუბარს.

● როგორ აფასებთ წლებადგენი ჩემპიონატის შედეგებს?

ლ. გვანცელაძე: თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ წარმადი არც ერთი პრიზიორი არ გვყავდა, ასობაან დამთავრებული ჩემპიონატის შედეგები უდავოდ დამაშაყოფლებლად უნდა მივინიშოთ.

● შეგვეძლოს უკეთესი შედეგების მოპოვება?

ზ. ძორიძე: ორი ჩემპიონი და კიდევ ორი პრიზიორი, ცხადია, თვალსაჩინო წარმატებას ნიშნავს. მაგრამ, რა თქმა უნდა, უკეთეს მანერებელსაც მივალწევდით, ზოგიერთი ათლეტისთვის ბრძოლა არ ებტყენა. ყველაზე გულდასაწყვეტი ო. ბლიაძის ავადმყოფობა იყო: მისმა გამოუსვლელობამ ოქროს მედალი დაგვიკარგა მეორე საშუალო წინაშე.

● რას იტყვით ჩემპიონატის მონაწილეთა საერთო ტექნიკურ და ტაქტიკურ მომზადებაზე?

ლ. გვანცელაძე: რაც დრო გადის, ხელ უფრო ძნელი ხდება უმაღლესი დონისთვის ბრძოლა. საოცრად ამაღლდა ცალკეულ მოტივებით ფიზიკური მომზადების ხარისხი, დიხვეწა ტექნიკა, კიდევ უფრო მრავალფეროვანი და, რაც მთავარია, რაციონალური გახდა ტაქტიკა. მოტივად ნელ-ნელა ემსაფხება კაცს, რომელსაც ყოველ კონკრეტულ სიტუაციაში რამდენიმეუცნობიანი ამოცანა აქვს გადასაწყვეტი.

● კიდაობის გულშემატკივრები ინტერესით ელიან თქვენს ნაშრომს როგორ რურუაზე?

ზ. ძორიძე: პირველ ყოვლისა მინდა იცოდეთ, რომ ამ ჩემპიონატში რომანი ერთადერთი მოტივად იყო, რომელმაც, მარცხის მიუხედავად, ოქროს მედალი მოიპოვა.

● პირველ წარმადი წარუმატებლობის შემდეგ თუ გეგრძელდა რომანის საბოლოო წარმატებისა?

ლ. გვანცელაძე: არათუ გეგრძელდა, ღრმად დარწმუნებული ვიყავით, რომ რურუა უმჯობესად ავიღებდა კვარცხლბეკს უმაღლეს საფეხურზე. ავიღა იმიტომ, რომ ნამდვილი მებრ-

ძოლია და უმტკიცესი ხასიათის ადამიანი; იმიტომ, რომ უფროს თავისი სასული და ცდილობს ჩრდილი არ მიაცილოს მას; დაბოლოს იმიტომ, რომ სპორტი გაზრახა რისი. ეს კი სპორტსმენის ყველაზე ერთგული თანამებრძოლია გატივებაში. რომანმა პირველი შეხვედრა ლეკვეიშვილთან წააგო. მომდევნო ბრძოლები მან ჩემპიონის სტილში ჩაატარა, მთელი თავით მაღლა იდგა მეტოქეზე და ერთხელ კიდევ დაამტკიცა, რომ სამართლიანად ითვლებოდა ტიდაობის საბჭოური სკოლის ერთ-ერთ თვალსაჩინო წარმომადგენლად.

ზ. ძორიძე: კიდევ ერთი რამ მინდა იცოდეთ: ამ წინაშე რურუა პირველად სცადა ძალა. ამას ჩემპიონატის სტარტზე გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა, თანაც რომანმა ყველაზე მეტი ბრძოლა (8) ჩაატარა.

● თუ გახსოვთ, ტალინში გამგზავრების წინ თქვენს სინანული გამოთქვით თამაშ მაჭავარიანის ავადმყოფობის გამო. რა მოხდა მერე?

ზ. ძორიძე: ძალიან მოულოდნელი იყო მისი ოქროს მედალი.

ზ. ძორიძე: თბილისის უნივერსიტეტის გუნდის ფეხბურთის სტუდენტმა თამაშ მაჭავარიანმა მოუხადა ხარკი ვერა გრიშ. მაგრამ, საუბედუროდ, ავადმყოფობის პერიოდი ტალინში გამგზავრების წინა დღეებს დაემთხვა. ასე რომ, ნამდვილად არც კი ვიცოდი, შეძლებდა თუ არა იგი სასპარტოვო წასვლას.

ლ. გვანცელაძე: მაგრამ თამაშს გაუტყველი ხასიათი აქვს და, თუ რამე გადაწყვიტა, აისრულებს კიდევ. გარდა ამისა, თამაში მოთიბისაგვის საოცარი უნარიანა დაჯილდოებული: იცოდა, რომ მთავარი დავა წარმადი ჩემპიონთან ნაწარგნობით ექნებოდა და საგანგებოდ განეწყო საბრძოლველად. მაჭავარიანი ორჯერ შეხვდა ჩემპიონს. პირველად მას ფრეგ ხელს აძლევდა, ამიტომ მაინცდამაინც თავი არ მოუკლავს — ძალა დასოვა. მეორედ კმა ოქროს მედლის საკითხი წყდებოდა და თამაშიც დაუნდობელი იყო.

● დანარჩენ პრიზიორებზე რას იტყვით?

ლ. გვანცელაძე: მარშან საკავშირო ჩემპიონატში ლეკვეიშვილმა V ადგილი დაიკავა. იგი დინამოელია, ცხოვრობს ქუთაისში და სწავლობს, უფრო სწორად, მაღალ დიპლომს დაიცავს სოხუმის სუბტროპიკული კულტურების ინსტიტუტში. 24 წლის ათლეტმა სპეციალისტებზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა, პირველ ყოვლისა, კიდაობის აგრესიული სტილით. მას ფრეგ არც ერთი ბრძოლა არ დაუმთავრებია, 5 შეხვედრა მოიგო და ერთი — სირბილაძესთან — წააგო. ლეკვეიშვილის გვარი სსრ კავშირის ნაკრების კანდიდატა სიაში შეიტანეს.

ზ. ძორიძე: საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი, ბურგესტინელი მორჩილადე მოხრილდა საკავშირო ჩემპიონატში პირველად გამოსვლით. 19 წლის სპორტსმენი ფიზიკურად საკმაოდ ძლიერია და ტექნიკურად კარგად მომზადებული. მორჩილადე სსრ კავშირის ნაკრების კანდიდატა სიაში მოხდა, როგორც პერსპექტიული მოტივად.

● რადგან სიტყვა ნაკრებზე ჩამოვარდა, უფრო დაწვრილებით ზომ ვერ ჩამოგვითვლით მის შემადგენლობას?

ლ. გვანცელაძე: სსრ კავშირის ნაკრების შემადგენლობა, რა თქმა უნდა, ჯერ საბოლოო არ არის. იგი უთუოდ შეიცვლება, კიდევ უფრო დაიხვეწება. ამ სიის წევრთა მთლიანად ჩამოთვლა შორს წავიყვანდა. ამიტომ გაგაცნობთ მხოლოდ ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებს. მუნდი არიან: რურუა, მაჭავარიანი, ბლიაძე, ლეკვეიშვილი, მორჩილადე, მერელოშვილი, დუდუნაშვილი

და სირბილადე. როგორც ხედავთ, საქართველო საკმაოდ არის წარმოდგენილი საკავშირო ნაკრებში.

● ზომ ვერ გავტყავთ კიდევ რამეს?

ლ. გვანცელაძე: პირადად მე, გამაყოფილებით მინდა მოვისწიოთ თბილისის უმაღლესი სპორტული ოსტატობის № 1 სკოლა და მისი ხელმძღვანელი, სპორტის დამსახურებული ოსტატები 5. დუმბაძე, რომელიც დიდ ყურადღებას აქცევს კლასიკურ კიდაობას და საქმინა დახმარებასაც გვიწევს. გვაქვს ინტენარტი, ყოველგვარი პირობები საგარეოში, გვაქვს უმაღლესი კლასის მოტივადე, რომელთაგან 23 საკავშირო ჩემპიონატის ფინალში მონაწილეობდა. სხვათა შორის, ფინალისტა რაოდენობით საქართველო III ადგილზე იყო რაფსან-სა და უკრაინის შემდეგ. ყოველივე ეს უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ შემდგომში ჩვენი წარმატება კიდევ უფრო მნიშვნელოვანი იქნება.

ზ. ძორიძე: მე მოტივადეებს ტალინშიც ვახლდი და ომსკშიც. საკუთარი თვალთა ვნახე, როგორ განიცდიდა ჩვენების ყოველ წარმატებას თუ წარუმატებლობას მთავარი მწვრთნელი, სპორტის ოსტატი ლ. გვანცელაძე. მე მისი გულსიტყვილი მწვრთნელისა, რომელიც სულ რამდენიმე წინ თვითონ წარმატებით იბრძოდა ხალიჩაზე. ყოველი მისი ნაბიჯი, ყოველი სიტყვის მიზანი ის იყო, რომ როგორმე შეეშუბებინა ბიჭების სულიერი მდგომარეობა და მძიმე წუთებში გვერდში ამოსდგომოდა მათ. ჩვენი მოტივადეე-

ბის წარმატება მწვრთნელთა გამარჯვებაა. ამიტომ სულითა და გულით მინდა მიველოცო მათ წლებადგელი სესონის ბარაქა.

● ახლა კი გთავაზობთ ჩემპიონატის პრიზიორთა საშუალებას:

- 48 მმ. 1. ნ. ფალკოვი (ბარნაული), 2. ა. ვანინგრი (ლენინგრადი), 3. ზ. პერნიცი (ვოლგოგრადი).
- 52 მმ. 1. გ. ოლშოვი (ნოვოსიბირსკი), 2. ი. კორეზინი (დონის როსტოვი), 3. ვ. ბაქოლინი (ალმა-ათა).
- 57 მმ. 1. ა. კიმატაჩი (მოსკოვი), 2. ვ. ფაინშტინი (მოსკოვი), 3. პ. გროსუ (კიშინიოვი).
- 62 მმ. 1. ბ. ტიმაშვილი (ომსკი), 2. ი. მუსარლიაშვილი (მოსკოვი), 3. მ. მუსაივი (ბაქო).
- 68 მმ. 1. რ. რურუა (თბილისი), 2. ი. კოზინი (ლენინგრადი), 3. ბ. ლეკვეიშვილი (ქუთაისი).
- 74 მმ. 1. ვ. ივანოვი (მოსკოვის ოლქი), 2. გ. ხალილოვი (სარანსკი), 3. ი. კლინტონი (რიგა).
- 82 მმ. 1. თ. მაჭავარიანი (თბილისი), 2. ა. ნაზარევი (ალმა-ათა), 3. ს. აბდულაევი (ლენინგრადი).
- 90 მმ. 1. ვ. რიაზანცევი (ალმა-ათა), 2. ი. გაფაროვი (ყარაგანდა), 3. ვ. ოლენი (მოსკოვის ოლქი).
- 100 მმ. 1. ვ. მერკული (ვორონეჟი), 2. ა. კარმაკინი (კიევი), 3. ვ. რუდიკი (დონის როსტოვი).
- მიმომ. 1. ა. კორნევი (ომსკი), 2. ვ. სუსიჩი (მინსკი), 3. შ. მორჩილადე (თბილისი).

ხალიჩაზე — დინამოელები

დინამოელმა სამბისტებმა ლიბეცკში გაითამაშეს ცენტრალური საბჭოს პირად-გუნდური პირველობა, რომელშიც ქვეყნის 14 კოლმეტეის 160 მოკიდავე მონაწილეობდა. საქართველოს ნაკრების წარმომადგენლები წვერი ავადმყოფობის გამო ხალიჩაზე ვერ გამოვიდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩვენმა გუნდმა წარმატებით იასპარეზა და II საპრიზო ადგილი დაიბრუნა. პირად ჩათვლაში განსაკუთრებით გამოიჩინა თავი ა. ზურაბა-

შვილი — ჩემპიონის სახელი დაისაძუტა.

II ადგილებზე გავიდნენ პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი ბ. ქიქიაშვილი და ფიზკულტურის ინსტიტუტის წარმომადგენელი ა. მარგველანი.

III საპრიზო ადგილები წილად ხვდათ ე. ნინაშვილსა (პოლიტექნიკური ინსტიტუტი) და ა. მარტყოფიშვილს (სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი).

ალსანიშნავია, რომ საქართველოს

სამბისტებმა გუნდურ ჩათვლაში ჩამოიტევს ისეთი ძლიერი მეტოქეები, როგორიც არიან მოსკოვის, ლენინგრადის, უკრაინისა და ბელარუსის კოლმეტეები.

სურათზე: საქართველოს „დინამოს“ სამბისტთა გუნდი ლიბეცკის ვოგაზე.

ტექსტი და ფოტო გ. მაგლობლიშვილისა.



რატომ გაუგებიათ შეჭიბვება?

კასპის საჭიდაო სარბიელი სამდღეს მასპინძლობდა ახალგაზრდა სამბისტებს — საქართველოს პირველობის მონაწილეს. ტურნირის მონაწილეთა ნახევარზე მეტი თბილისელები იყვნენ და, ცხადია, გუნდური გამარჯვებაც მათ მოიპოვეს. II საპრიზო ადგილი დაიბრუნეს გორელებმა.

საინტერესო ბრძოლით აღინიშნა პირადი ასპარეზობაც. წინითი კატეგორიების მხედვით საუკეთესო იყვნენ: მძებნი ჯანანაშვილი (ორივე — უნივერსიტეტი), ტ. ცინცაძე („სპარტაკი“), ვ. კბილაშვილი (ფიზკულტურის ინსტიტუტი), გ. გიგუაშვილი, რ. ხარჩილაძე (ორივე — „დინამო“), ა. მუხავეი (უნივერსიტეტი), დ. როგოშინი (ფიზკულტურის ინსტიტუტი), გ. ნიადაგაშვილი („სოფლისმეცნიერება“), გ. ჭამბაძე (კასპი).

საკუდურის ღირსნი არიან ქალაქში, რომლებმაც შეგირდებს უნივერსიტეტი და სპარტაკი, მათს რიცხვს ზოგიერთი ისეთი ქალაქი და რაიონი მიეკუთვნება, სადაც სამბო დიდი პოპულარობით სარგებლობს. განა ყოველად დაუმეცხვებელი არ არის აფხაზეთის, აჭარის, საგარეოს, მცხეთის მოტივადეა პასიურობა და დანაშაულებრივი გულგრილობა? მით უმეტეს, სამბო სსრ კავშირის ხალხთა მომავალი სპარტაკიადის პროგრამაშია შეტანილი. სადა, თუ არა 18-20 წლის ახალგაზრდებში უნდა ვეძოთ პერსპექტიული სამბისტები?...

ა. ნინაშვილი, შეჭიბვების მთავარი მხაჯი, საკავშირო კატეგორიის მხაჯი.

მალინის „სპორტკლემი“ ოთხდღეს მიმდინარეობდა სსრ კავშირის პროფკავშირების უძლიერეს „კლასიკოსთა“ პირადი პირველობა.

ასპარეზობაში ჩვენი რესპუბლიკის ღირსებმა „განთიადის“ წარმომადგენლები იცავედნენ. საპატიო ჯილდოებს ერბოვნენ 180-ზე მეტი მოტივადე მცხედრები.

შესანიშნავად იასპარეშეს განთიადელებმა: მათ სამშობლოში სპეციალური ეიმელები და სიგელი ჩამოიტანეს. ეს ჯილდოები საკავშირო პროფსაბჭომ დაწესა იმ სამი კოლმეტეისთვის, რომლებსაც ყველაზე მეტი ფინალისტი ეყოლებოდათ. შეჯიბრების შემდეგ გაშიორკვა, რომ არაოფიციალურ გუნდურ

ჩათვლაში „განთიადის“ მხოლოდ „ტრუდმა“ გაუსწრო და ისიც უმნიშვნელო უპირატესობით.

პირველ ქვესაშუალო წინაშე კარგად იქიდავა ჩვენმა თანამებრძოლმა თ. სირბილაძემ. მან I ადგილი დაიკავა და საუკეთესო ტექნიკისთვის სპეციალური პრიზიც დაიბრუნა. აღსანიშნავია, რომ ფინალში იგი სიყვანი იბრძოდა და მანაც ორივე შეხვედრა დიდი უპირატესობით მოიგო.

მეორე ქვესაშუალო წინაშე ათლეტთა ერთ-ერთი ცენტრალური შეხვედრა

იყო თბილისელი პედაგოგის ტ. ფილიშვილის შერეობა მოსკოვლელ სავრთაშორისო კლასის სპორტის ოსტატ ლ. ლიპატოვთან. ეს ჭიდილი მესამე წრეში გაიმართა. გამარჯვებას ყველა გამოცდილი ლიპატოვის უწინასწარმეტყველებდა, მაგრამ ფილიშვილი არ შეშინდა სახელოვან მეტოქეს და მე-3 წუთზე მეტებით გააჭრა იგი ხალიჩას.

ფილიშვილმა დანარჩენი 3 შეხვედრაც მოიგო და I ადგილი გაინაღდა.

მსუბუქ წინაშე წარმატებით იასპარეზა ო. ტატიშვილი. მან სამი ბრძო-

ლა წინადად მოიგო, ფინალში კი შეხვდა პერმელ ვ. ნავაის, რომელიც ადრე დამარცხებული ჰყავდა. და აი, გადამწყვეტი შეხვედრაში ქართველმა მოტივადე მეტისმეტი სიფრთხილე გამოიჩინა და მეტოქეს ქულის გაკეთების საშუალება მისცა, რის გამოც საბოლოოდ II ადგილზე დარჩა.

უღაველ ქულის ღირსია პირველთა-რიგისანი რ. ჭაჭავაძე, რომელმაც მძიმეწინასთან ჭიდილით III საპრიზო ადგილი დაიკავა და, ამასთან, პირველად მასრულა სპორტის ოსტატის ნომრატევი.

გ. ხანდოლიშვილი (პირველი საშუალო) და თ. ტყეშელაშვილი (მეორე საშუალო) ვერ მოხვდნენ პრიზიორთა რიგებში, მაგრამ ორივე პროფკავშირების ნაკრებ გუნდში შეიყვანეს.

სხვა წინით კატეგორიებში გამარჯვებს: ფ. ყურბანოვა (აზერბაიჯანი), ბ. ცუკანოვა, ი. შუტოვა (ორივე — რსფსრ), ი. გალკინა (უკრაინა), გ. კირტა (ესტონეთი), ი. კალანიკოვა (მოსკოვის ოლქი) და ა. შელშეკო (ბელარუსია).

ა. ნინაშვილი, სპორტის ოსტატი.

10 ფინალის სარჩენი

ბრაზილიელთა მფრთხილი უცვალეს

მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე 8 თვე ადრე არის, და ამ დროს ბრაზილიის ფეხბურთელთა ნაკრების წევრები უმწვრთნელად ლარინგს უთხოვრად დადიან. ბრაზილიის საფეხბურთო ტექნიკურ კომისიაში განხილულია ჩამოვარდა მას შემდეგ, რაც ამ ქვეყნის გუნდი არგენტინელებმა დამარცხეს ანგარიშით 2:0. ორშაბათს კომისიის ხელმძღვანელებმა აკლავ დიქციას და, სამშაბათს საღამოს კი სალდანი გაათავისუფლეს. მას ბრაზილიის ფეხბურთელთა ნაკრების მთავარი გუნდის მწვრთნელის გეგმაში, რომელიც ტექნიკურმა კომისიამ დაამუშავა. ბრაზილიის სპორტული კონფედერაციის პრეზიდენტმა, რომელმაც დაადასტურა სალდანიას მოხსნის გადაწყვეტილება, წინასწარ თქვა, რომ უფრო ადრე ჩემპიონატში გუნდის მონაწილეობაზე იტყვის უარს, ვიდრე ნაკრების ხელმძღვანელობაში დღევანდელ დამაბულ ატმოსფეროს და უთანხმოების გაგრძელებას დაუშვებს. ბრაზილიის ფეხბურთელთა ეროვნული გუნდის მწვრთნელად დანიშნეს 89 წლის მარია ჯაგლო — ცნობილი კლუბის „ბოტაფოგოს“ მწვრთნელი. ჯაგლო მრავალი წლის განმავლობაში წარმატებით თამაშობდა ბრაზილიის ნაკრებში მარცხენა გარემარბის ადგილზე. იგი 1968 და 1969 წლების მსოფლიო ჩემპიონია. საინტერესოა აღინიშნოს, რომ მისი კანდიდატურასთან ერთად დასახელებული იყო ნაკრების ყოფილი მწვრთნელი ა. მორეირა, მაგრამ იგი ვერ გავიდა — აქოდა, ფეხბურთი არასოდეს უთამაშია.

3:3

ლანდონი, 19 მარტი. ადგილობრივი სტადიონზე გასული ინტერის გამოიწვია მექსიკისა და პერუს ნაკრები გუნდების მატჩმა. უაღრესად მწვავე და

დაძაბული თამაში დამთავრდა ფრედ — 3:3. კვირას ეს გუნდები კვლავ შეხვდებიან ერთმანეთს, ამჯერად — „ესტადიო ატატიკა“.

ნახევარფინალისტები

როტერდამი, 19 მარტი. ადგილობრივი „ფეიენორდი“ გავიდა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების ნახევარფინალში. პოლანდიელთა გარდა, ამ პრიზისთვის ბრძოლას განაგრძობენ გერმანიის „დორტმუნდი“, გერმანიის „სელ-

ტიკი“ და ინგლისის „ლიდს იუნაიტედი“. თასების მფლობელთა თასის გათამაშების ნახევარფინალისტები გახდნენ: პოლონეთის „გურნიკი“ (ზაბჟე), ინგლისის „მანჩესტერ სიტი“ და გერმანიის „შალკე 04“.

პეტერკანის თასზე

გარდამავალი რესპუბლიკის „ბ“ კლასის ფეხბურთელთა გუნდების ტურნირი „შავგულაძის სახელობის“ თასზე. მორიგი ტურის შედეგები ასეთია: „მეტალურგი“ (რუსთავი) — „სპარტაკი“ (ცხინვალი) 2:0, „კაზიკი“ (თელავი) — „ალაზანი“ (გურჯაანი) 4:0, „გურია“ (ლანჩხუთი) — „მერცხალი“ (მახარაძე) 3:1, „დინამო“ (სოხუმი) — „კოლხეთი“ (ფოთი) 1:0.

სსრ კავშირის XXVII ჩემპიონატი

პირველი ქულა

მესამე კალენდარული დღის დასრულებით შედეგები ასეთია: „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) — ტრტ (რიგა) 72:71, „დინამო“ (მოსკოვი) — „უნივერსიტეტი“ (ტარტუ) 55:49, „ბურევსტნიკი“ (ლენინგრადი) — „პოლიტექნიკა“ (კაუნასი) 58:56, „სპარტაკი“ (მოსკოვის ოლქი) — „სპარტაკი“ (ლენინგრადი) 76:74, „სერბი მპოლოტი“ (მოსკოვი) — „კიბირკუტსი“ (ვილნიუსი) 55:48.

3 ათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 19 მარტისთვის

	თ.	მ.	წ.	ბ.	ქ.	
„სპარტაკი“ (მოსკოვის ოლქი)	8	7	1	494	439	7
„სპარტაკი“ (ლენინგრადი)	8	6	2	502	453	6
ტრტ (რიგა)	8	6	2	522	481	6
„კიბირკუტსი“ (ვილნიუსი)	8	5	3	465	437	5
„ურალმაში“ (სვერდლოვსკი)	8	5	3	520	483	5
„ბურევსტნიკი“ (ლენინგრადი)	8	4	4	486	477	4
„დინამო“ (მოსკოვი)	8	4	4	478	476	4
„პოლიტექნიკა“ (კაუნასი)	8	3	5	459	487	3
„სპარტაკი“ (მოსკოვი)	8	3	5	540	535	3
სპი (თბილისი)	8	3	5	475	515	3
„დინამო“ (კიევი)	8	2	6	548	501	2
„უნივერსიტეტი“ (ტარტუ)	8	0	8	410	519	0

1970

სტაბილური მნიშვნელობა

მომე კრიზისის წლებში (1954-58 წ.წ.).

დღეს ჩვენს სტადიონზე საკავშირო საფეხბურთო ჩემპიონატის მატჩში ერთმანეთს ხვდებიან თბილისისა და კიევის დინამოელები. ამ ორი გუნდის შეხვედრათა ისტორია იწყება 1936 წლის შემოდგომიდან. თბილისელებს დადებითი ბალანსი აქვთ თავიანთ ტრადიციულ მეტოქესთან: პირველი 10 სეზონის მანძილზე თბილისელებმა 8 მატჩი მოუგეს კიეველებს, მათგან 6 — დიდი ანგარიშით და გაიტანეს 49 ბურთი. 8 გამარჯვება კიეველებს ხვდათ წილად. ბურთების შეფარდება თითოეულ თამაშში საშუალოდ 2,7:1,4 იყო თბილისელთა სასარგებლოდ.

შემდგომში 10 სეზონის მანძილზე ქართველი ფეხბურთელები ისევ ინარჩუნებდნენ წარმატებას: 8 მოგება, 4 წაგება, ბურთების საშუალო შეფარდება თითოეულ თამაშში — 1,53:1,28. კიეველებმა 4 მატჩი მოუგეს თბილისის „დინამოს“.

საქმიანო საქმიანო

● მარშაბი, 19 მარტი. მოსკოვის „დინამოს“ ფრანგულთა გუნდმა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების პირველ მეოთხედფინალურ მატჩში ანგარიშით 3:0 დამარცხა პოლონეთის იეისლა.

ე. ზ. ლუკაშვილი

გარდაცვალა უზუცესი ქართველი მთამსვლელი ერეკლე ჯაჭარაძის ძე ლუკაშვილი, რომლის დაუმრტელები ენერგია, დაუზარელი შრომა და ხალხის ახალგაზრდობისთვის დღესაც მისაბაძი იყო.

ე. ლუკაშვილი 1888 წელს დაიბადა გორის მაზრის სოფ. ბერეჟოვში. საშუალო განათლება თბილისის სასულიერო სემინარიაში მიიღო. 1908 წელს იგი გერმანიაში გაემგზავრა სწავლის გასაგრძელებლად და 1908 წელს ინჟინერ-მშენებლის პირველი ხარისხის დიპლომით დამთავრა მიუნხენის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მან მოსკოვის საინჟინრო ინსტიტუტში განაგრძო სწავლა.

ამ სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ახალგაზრდა ინჟინერ-ტექნოლოგი რკინიგზაზე მუშაობდა. 1920 წელს იგი თბილისის უნივერსიტეტში მიიწვიეს ასისტენტად, ხოლო 1923 წელს ამავე სასწავლებელთან დაარსებულ მუშათა ფაკულტეტზე ტექნოლოგიური კათედრის გამგედ დანიშნეს. ხუთწლიანი დაწყებიდან ე. ლუკაშვილი ჩერ საქმეების ტრესტში მუშაობდა ინჟინრად, შემდეგ ჯგუფის მენეჯერობაზე. სხვათა შორის, იგია ფუძემდებელი საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოებისა, რომელიც 1924 წელს დაარსდა. 1958 წელს ე. ლუკაშვილს პერსონალური პენსია დაენიშნა.

მთამსვლელობა ე. ლუკაშვილისთვის გაბუჯობის წლებიდანვე დიდი გატაცება იყო. 1904 წელს ჩერ კიდევ გამოუცდელმა სტუდენტმა შევიცარიის ალპებში პირველად დაიპყრო მწვერვალები ვეტერანონი და იუნგურაუ უკამყოლოდ, რაც იმ დროისთვის იშვიათი შემთხვევა იყო.

სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ე. ლუკაშვილი თავისუფალ დროს მთამსვლელობას და მოგზაურობას უთმობდა. ამ პერიოდს ეკუთვნის მისი ასვლები უღელტეხილებსა და მწვერვალებზე სვანეთში, ქლუხორის მთებში, აღმოსავლეთ კავკასიონის რაიონში და სხვ. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ლუკაშვილის ხელმძღვანელობით ჩატარდა საქართველოს ალპური კლუბისა და განათლების განყოფილების მიერ ორგანიზებული საბჭოთა კავშირში პირველი მოსწავლეთა ალპინიზმის მწვერვალ ალაგოვზე (4100 მ).

თავისებური რეკორდი იყო 1048 წელს, საბჭოთა ალპინიზმის 25 წლისთავზე, 502 კაცი ასვლა მყინვარწვერზე. ამ ღონისძიებაში ახალგაზრდებთან ერთად ვეტერანი მთამსვლელებიც მონაწილეობდნენ. მათ შორის გამოირჩეოდა 85 წლის ერეკლე ლუკაშვილი, რომელიც ახალგაზრდული შემართებით მიაბიჭებდა 5043 მ სიმაღლის მწვერვალს.

ერეკლე ლუკაშვილს კალამიც უჭირდა. ცალკე წიგნებად დასტამბა მისი „მთამსვლელობის ჩანაწერები“, „მედიცინის ალპებში“, „კავკასიონის უღელტეხილები“, „ჩვენი ასვლები მწვერვალებზე“. ე. ლუკაშვილს ეკუთვნის ჩვენს ურბნულ-გაზეთებში სხვადასხვა დროს დაბეჭდილი ბევრი საინტერესო მასალა მთამსვლელობაზე.

ერეკლე ლუკაშვილის, როგორც პათოლოგი, უმწიკვლო აღმზიანის ხსოვნა დღესაც იცოცხლებს მის ნაცნობ-მეგობართა შორის.

საპარტეზლოს სსრ მთამსვლელობაზე დაეხმარა.

საპარტეზლოს ა. ჯაფარიძის სახელობის მთამსვლელობა კლუბი.

რედაქტორი მ. პაბაბაძე.

„ლოკომოტივის“ ჩანაწერი

(ი. კავკასიის სსრ. № 74)

1970

დღეს

სსრ კავშირის პირველობა

I კვირა

„დინამო“ (თბილისი) — „დინამო“ (კიევი)

(ძირითადი შემაგდგენლობა)

დასაწყისი 16 ს.

თბილისი სოცხალ-განათლება

საბჭოთა სპორტის სა-სახლე. 21 მარტი. საქართველოს პირველობა ქალთა და ვაჟთა გუნდების შორის. დასაწყისი 9 ს.

შეხვედრა. აეროპორტის სტადიონი. 22 მარტი. საქართველოს პირველობა. ასკ (თბილისი) — „იმერეთი“ (თერჯოლა). დასაწყისი 12 ს.

მსოფლიო სპორტის სა-სახლე. 24 მარტი. XVII ოლიმპიური თამაშების ჩემპიონის რ. შავლაძის პრიზის გათამაშება. მონაწილეობენ: ევროპისა და სსრ კავშირის ჩემპიონი ვ. გავრილოვი, სპორტის ოსტატები ვ. სევერცოვი, თ. მღივანი, ა. მოსკოვი, ნ. სავანელიძე, ვ. ბოლშოვი, ა. ლაზარევი, ნ. ბრინკევი და სხვ. მთავარი მსახიობის სანელობის სასოფლო-სამეურნეო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, სსრ კავშირის ექსპერტ-სემინარი მალაქა ბლომში, პროფესორი ვ. შხვატაძე. დასაწყისი: ქალები — 17 ს., ვაჟები — 19 ს.

საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტი, მთამსვლელობის რესპუბლიკური ფედერაცია და გაზეთი „ლელო“ რედაქცია იუწყებიან

ერეკლე ჯაჭარაძის ძე ლუკაშვილის

გარდაცვალებას და თანატოლებს განსვენების ოჯახს.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.

რედაქციის მისამართი: თბილისი-8, ლენინის ქ. № 14, დეპარტამენტის — თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორი — 99 56-14, რედაქტორის მოადგილე — 98-97-51, პასუხისმგებელი მდივანი — 98 97-52, მასობრივ-ფიზკულტურული და მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილება — 98-97-55, სპორტული განყოფილება — 99 56-47, 98-97-53, ფეხბურთის განყოფილება — 98-97-58, ჯანდაცის განყოფილება — 98-97-57, წერილების განყოფილება — 98 97 54, მემკვიდრეთა ბიურო — 98 97-59, ფოტოლაბორატორია — 98-97-58, გამოშვები — 98 98-51.